ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4753645

ნომერი: AR1709362

თარიღი : 27.09.2019

გაცემის თარიღი : 15.11.2019

გაცნობის თარიღი : 15.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დუტუ მეგრელი , N 2 , ღვინის აღმართი N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჩლაიძე პ/ნ 01026017136
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. N 11 ბ. 64

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ნატა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206264521
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამარ გვინჩიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010011223

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/09/12/112, (3717487 05.12.2017)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.06.2015

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ჩლაიძე

· ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის N882019419470; 29/05/2019; საკადასტრო კოდი N 01.17.01.089.002).
· ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი N40, 10.10.2019წ.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), დუტუ მეგრელის ქ. N2; ღვინის აღმართი N8-ში (ძეგლი), სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი;
2. გაიცეს უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 19 ნოემბრიდან 2020 წლის 06 იანვრის ჩათვლით;

ეტაპები: ტერიტორიის შემოღობვა და მომზადება; არსებული მოაჯირის ამაღლება; ლითონის კონსტრუქციის სვეტების მონტაჟი; სახურავის კონსტრუქციის მონტაჟი; ლითონის კონსტრუქციის დასრულება; სახურავის მოწყობა; კედელზე არსებული გამოფიტული ნალესის ჩამოფხეკა; კედელზე ლითონის ბადის მოწყობა; კედლის მოპირკეთება წითელი აგურით; კედლის მოპირკეთების დასრულება; სამღებრო სამუშაოები; სამშენებლო ნარჩენების გატანა; ტერიტორიის დასუფთავება.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.